



“ს ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„23 ივნისი“ 2013 წელი

ქვ. N2

აუდიტის ანგარიში *ა/30/00*
(01/01/12-01/01/13)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2012 წლის ბიუჯეტის
შესრულების აუდიტის შესახებ

სარჩევი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები:	4
ძირითადი ტექსტი	6
1. წლიური ბიუჯეტის დამტკიცების მდგომარეობა	6
2. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	7
2.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა.....	7
2.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით	8
2.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	12
2.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა.....	12
2.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება.....	14
3. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება) ...	14
4. სახელმწიფო შესყიდვებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯვის მდგომარეობა.....	17
რეკომენდაციები	17

შესავალი

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 0177, მ.თამარაშვილის ქუჩა N15ა. ტელ/(995 32) 311585 ფაქსი/(995 32) 31 15 96

აუდიტის ჯგუფი - სპეციალისტი ანტონ პარუნაშვილი.

აუდიტის ვადა - 12/03/2013 – 22/03/2013 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - მინისტრი;

საქართველოს პარლამენტი - პარლამენტი;

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

დამატებითი ღირებულების გადასახადი - დღგ.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა 4 (ოთხი) ტერიტორიული ორგანო და 1 (ერთი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრი“.

სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები:

საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა; ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, საგანგებო

სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა; მიგრანტთა კატეგორიების დადგენა; ლტოლვილთა, დევნილთა და დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ხელშეწყობა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა; მიგრაციული ნაკადის აღრიცხვა, მართვა და კონტროლი; დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; საერთაშორისო (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები:

- წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში წლის განმავლობაში ასიგნებების გადანაწილება მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 43 -ჯერ საერთო თანხით -15 460,8 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 38,3 %-ია და თითქმის 2-ჯერ აღემატება 2011 წლის მონაცემებს. ეს მაშინ, როდესაც 2012 წლის გადახდები შემცირებულია 15,9 %-ით (7 062,4 ათასი ლარით).

რაც შეეხება პროგრამულ კოდებს შორის ასიგნებების გადანაწილებას, წლის განმავლობაში განხორციელებულია 2 431,2 ათასი ლარის მოცულობით, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 6,2 %-ია და 1,2 %-ით (468,5 ათასი ლარი) აღემატება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულს, თუმცა წლის განმავლობაში ცვლილებების ნაწილზე გამოცემულია ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ეგრეთ წოდებული „რეგრესული ცნობები“, რომლის შემდეგ კოდებს შორის ასიგნებების გადანაწილების მოცულობა შემცირებულია 675,1 ათასი ლარით და საბოლოოდ შეადგინა 1 756,1 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 4,5 %-ია და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულის ფარგლებშია.

დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების რაოდენობა და მოცულობა, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცვლილებათა დიდი ნაწილი (40 % -ზე მეტი) განხორციელებულია მთავრობის განკარგულებების საფუძველზე გარკვეულ დავალებათა შესრულების მიზნით.

- ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი მოთხოვნები, ცვლილებების განხორციელების შესახებ, არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რა აქტივობების ხარჯზე უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რაც საშუალებას მისცემდა ფინანსთა სამინისტროს,

შედარება გაცვეთებინა მოსალოდნელი შედეგებისათვის ადრე დაგეგმილსა და ახალ გადაწყვეტილებებს შორის.

- სამინისტროს 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანზე ერიცხებოდა 3 661,0 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება სულ შემცირებულია 1 485,3 ათასი ლარით და 2013 წლის იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2 175,7 ათას ლარს. 95,8 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2005-2007 წლებში. ამ დავალიანებების სალიკვიდაციოდ არაა გატარებული სათანადო ღონისძიებები, რასაც ადასტურებს ისიც, რომ დავალიანების მქონე ორგანიზაციებთან არაა ჩატარებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია.
- 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 4 662,8 ათასი ლარის, ხოლო 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი 5 507,1 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. დავალიანება გაზრდილია 844,3 ათასი ლარით.

კრედიტორულ დავალიანებაში აღირიცხება 4 224,6 ათასი ლარის დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 1996 - 2005 წლებში, მაგრამ კონკრეტულად რომელ წელს, არ იშიფრება. აქედან 3 921,7 ათასი ლარის დავალიანება არ იშიფრება არც ორგანიზაციების მიხედვით. წლების და ორგანიზაციების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანება მთლიანი დავალიანების 76,7 %-ია.

2012 წელს წარმოშობილ და მთლიანად გაზრდილ დავალიანებებს შორის სხვაობა 28,0 ათასი ლარია, რაც წარმოადგენდა სსიპ „თემის განვითარების პროექტის“ 2011 წელს წარმოშობილ დავალიანებას და რომელიც, ნაცვლად ვალდებულების კლებისა, სხვა ხარჯების მიმდინარე ხარჯების მუხლიდან დაიფარა 2012 წელს.

ძირითადი ტექსტი

1. წლიური ბიუჯეტის დამტკიცების მდგომარეობა

ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 8 ივლისის წერილის საფუძველზე, 2012 წლისათვის, სამინისტროს დასაქმებულთა რიცხოვნობის და ასიგნების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა შესაბამისად 172 ერთეულით და 30 000,0 ათასი ლარით.

2011 წლის 31 აგვისტოს საბიუჯეტო განაცხადი ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა ამავე პარამეტრებში, ხოლო მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან გამართული კონსულტაციებისა და ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, 2011 წლის 23 სექტემბერს გაიგზავნა კორექტირებული ვარიანტი, რომლის მიხედვით მოთხოვნილი ასიგნების მოცულობა გაიზარდა 34 800,0 ათას ლარამდე.

სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი ეფუძნება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების გაანგარიშებებსა და პრიორიტეტების მიხედვით მოთხოვნილი თანხების დასაბუთებებს.

ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს პრიორიტეტების, მოსალოდნელი შედეგებისა და ამ შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, სადაც ეს შესაძლებელია არ ახლავს რიცხვებში გამოსატული მონაცემები, ზოგადია და აკლია კონკრეტულობა.

სამინისტროს პროგრამები და პროგრამული კოდები საანგარიშო პერიოდში:

პროგრამა	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა კოდი 34 01
	სამინისტრო კოდი 34 01 01
	სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯები კოდი 34 01 01 01
	სამინისტროს შენობის შექმნაზე გარეშე კოდი 34 01 01 02
	სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები კოდი 34 01 02
	ქვეპროგრამა "ხიდი" 34 01 03
	ქვეპროგრამა "რეპატრიაკია" კოდი 34 01 04
	ქვეპროგრამა "ანგარიშები" კოდი 34 01 05
	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უზრუნველყოფა დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვა კოდი 34 01 06
	ეკონომიკური და იმუნიტეტი გადაადგილებულ პირთა მიგრაციის მართვა კოდი 34 01 07
პროგრამა	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კოდი 34 02
	ორგანიზებულად ჩახახლების ადგილებში დევნილობის და დევნილთა საცხოვრებელი პირობების შექმნა კოდი 34 02 01
	იძულებით გადაადგილებულ პირთა აუტონომიური განვითარების პროექტი კოდი 34 02 02
	იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სახლების მშენებლობა დორნი (GTZ) კოდი 34 02 05
	იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა კოდი 34 02 06

2. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა

სამინისტროს თავდაპირველი მთლიანი ბიუჯეტი, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცდა 34 800,0 ათას ლარზე, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება იყო 33 000,0 ათასი ლარი, ხოლო 1 800,0 ათასი ლარი კი გრანტები. კანონში 4 -ჯერ შეტანილი ცვლილებების შემდეგ სამინისტროს ბიუჯეტი საბოლოოდ დამტკიცდა 39 249,2 ათასი ლარის მოცულობით, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 36 110,0 ათასი ლარია, ხოლო 3 139,2 ათასი ლარი კი გრანტი.

მომუშავეთა რიცხოვნობა 172 ერთულიდან, 2012 წლის 17 დეკემბრის ცვლილებით, შემცირდა 170 ერთეულამდე.

სამინისტროს ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39 308,0 ათასი ლარი.

სამინისტრო	საბოლოო საბიუჯეტო განაცხადით	საბოლოო დამტკიცებული ბიუჯეტით	ათასი ლარი
			დაზუსტებული ბიუჯეტით
ხარჯები	33 790,0	37 939,7	36 990,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 010,0	1 309,5	2 317,9
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0
სულ	34 800,0	39 249,2	39 308,0

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში წლის განმავლობაში ასიგნებების გადანაწილება მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 43 -ჯერ საერთო თანხით -15 460,8 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 38,3 %-ია და თითქმის 2-ჯერ აღემატება 2011 წლის მონაცემებს და ეს მაშინ, როდესაც 2012 წლის გადახდები შემცირებულია 15,9 %-ით (7 062,4 ათასი ლარით).

რაც შეეხება პროგრამულ კოდებს შორის ასიგნებების გადანაწილებას, წლის განმავლობაში განხორციელებულია 2 431,2 ათასი ლარის მოცულობით, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 6,2 %-ია და 1,2 %-ით (468,5 ათასი ლარი) აღემატება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულს, თუმცა წლის განმავლობაში ცვლილებების ნაწილზე გამოცემულია ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ეგრეთ წოდებული „რეგრესული ცნობები“, რომლის შემდეგ კოდებს შორის ასიგნებების გადანაწილების მოცულობა შემცირებულია 675,1 ათასი ლარით და საბოლოოდ შეადგინა 1 756,1 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 4,5 %-ია და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულის ფარგლებშია.

ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი მოთხოვნები ცვლილებების განხორციელების შესახებ არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რა აქტივობების ხარჯზე უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რაც საშუალებას მისცემდა ფინანსთა სამინისტროს, შედარება გაეკეთებინა მოსალოდნელი შედეგებისათვის ადრე დაგეგმილსა და ახალ გადაწყვეტილებებს შორის.

დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების რაოდენობა და მოცულობა, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილებათა დიდი (40 % -ზე მეტი) ნაწილი განხორციელებულია მთავრობის განკარგულების საფუძველზე გარკვეულ დავალებათა შესრულების მიზნით.

2.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

2012 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები:

ათასი ლარი					
დასახელება	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
სამინისტრო	39 308,0	38 864,7	37 416,5	37 416,6	37 148,8
ხარჯები	36 990,1	36 525,5	35 127,4	35 127,4	37 148,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 317,9	2 289,2	2 289,2	2 289,2	
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	

საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები ორგანიზაციული კოდების მიხედვით:

ათასი ლარი					
ორგანიზაციული კოდი	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
34 01	7 995,5	7883,2	7 721,0	7 721,0	
34 01 01	6 819,8	6 794,6	6 647,9	6 647,9	
08 34 01 01 01	5 762,7	5 744,7	5 598,0	5 598,0	
34 01 01 02	1 057,1	1 049,8	1 049,8	1 049,8	
34 01 02	380,1	374,5	374,1	374,1	
34 01 03	40,0	39,9	31,4	31,4	
34 01 05	402,5	353,4	353,3	353,3	
34 01 06	120,0	119,6	107,0	107,0	
34 01 07	189,6	163,3	163,3	163,3	
34 02	31 3102,5	30 981,4	29 695,5	29 695,5	
08 34 02 01	12 562,7	12 537,8	12 265,7	12 265,7	
34 02 02	2 440,0	2 402,4	2 414	2 401,4	
34 02 05	58,5	58,6	58,8	58,8	
34 02 06	16 251,0	15 982,4	14 969,7	14,969,7	

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ბუჯეტი დამტკიცებულს აღემატება 58,8 ათასი ლარით, რაც მთლიანად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან GTZ -სათვის (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა) დღგ -ს გადასახადის უკან დაბრუნების მიზნით გამოყოფილი თანხაა.

ხარჯები :

საანგარიშო პერიოდში საკასო ხრჯებმა სულ შეადგინა 37 416,6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებულ ბიუჯეტზე (39 308,0 ათასი ლარი) 1 891,4 ათასი ლარით ნაკლებია და მის 95,2-ს შეადგენს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯვის მდგომარეობა ასეთია;

შრომის ანაზღაურება;

ათასი ლარი					
შრომის ანაზღაურება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	ხვეობა
თანამდებობრივი სარგო	2 584,7	1 827,5	1 1827,0	1 826,8	-0,3
პრემია		757,1	757,1	757,1	0
სულ	2 584,7	2 584,6	2 584,1	2 583,8	-0,3

ფაქტობრივად გაწეული 2 583,8 ათასი ლარის ხელფასის ხარჯიდან, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 826,8 ათას ლარს, პრემია კი 757,1 ათას ლარს, რაც თანამდებობრივი სარგოს 41,4 % და მთლიანი ფაქტობრივი ხარჯის 29,3 % ია. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული 170 საშტატო ერთეულის ნაცვლად სამინისტროში დასაქმებულია საშუალოდ 150 ერთეული, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 20 ერთეულით ნაკლებია და მისი 88,2 %-ია.

ხელფასის მუხლით საკასო ხარჯი ფაქტობრივ ხარჯს აღემატება 0,3 ათასი ლარით რაც გამოწვეულია ერთი თანამშრომელზე ხელფასის ზედმეტად დარიცხვით. თანხა ასახულია დებიტორულ დავალიანებაში .

საქონელი და მომსახურება:

ათასი ლარი					
საქონელი და მომსახურება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	ხვეობა (5-4)
1	2	3	4	5	6
შტატგარეშე მომსახურება ანაზღაურება	15 086,0	1 105,5	1 100,1	1 100,1	0
მიწოდებები		189,5	167,8	167,8	0
ოფისის ხარჯები		11 973,8	11 707,3	11 505,5	-201,8

წარმოადგენლობითი ხარჯები	55,6	46,8	46,8	0
ჯგუფის ხარჯები	1,0	1,0	1,0	0
სამედიცინო ხარჯები	24,6	23,9	23,9	0
რბილი ინვენტარის, უნიფორმის, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	20,1	20,1	12,8	-7,3
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა (დამოღება) შენახვის ხარჯები	1 331,4	1 268,9	1 269,6	0,7
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	256,4	240,7	242,7	2,0
სულ	15 086,0	14 957,9	14 576,6	-206,4

საქონელი და მომსახურების მუხლით დაზუსტებული გეგმა 15 086,0 ათას ლარია, აღებულია ვალდებულება 14 957,9 ათას ლარზე, გადახდა განხორციელდა 14 576,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტებულ გეგმაზე 715,8 ათასი ლარით ნაკლებია და მის 96,6 %-ს შეადგენს. გაწეულია 14 370,2 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი, რაც გადახდაზე 206,4 ათასი ლარით ნაკლებია (98,6 %).

როგორც ცხრილიდან ჩანს საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 80,3 % (11 707,3 ათასი ლარი) მოდის ოფისის ხარჯზე, რაც ძირითადად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის (პროგრამული კოდი 34 02 01) ოფისის (ელექტრო ენერგიის -7 670,7 ათასი ლარი, წყლის -930,3 ათასი ლარი, ბუნებრივი და თხევადი აირის -784,4 ათასი ლარი, კანალიზაციის და ასინილიზაციის -215,3 ათასი ლარი, დასუფთავების -1 339,2 ათასი ლარი, სულ -10 939,9 ათასი ლარი) ხარჯებია.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სოციალური უზრუნველყოფა, სუბსიდიები და სხვა ხარჯები:

ათასი ლარი					
ხარჯების დასახელება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	0	0	532,0	532,0
სუბსიდიები	405,0	390,7	389,6	333,1	-56,5
გრანტები	2,7	2,6	2,6	2,9	0,3
სოციალური უზრუნველყოფა	4 446,2	4 446,2	4 446,2	4 457,5	11,3
სხვა ხარჯები	14 465,4	14 193,5	13 128,2	14 869,5	1 741,3
სულ	19 319,3	19 033,0	17966,6	20 195,0	2 228,4
სულ ხარჯები	36 990,1	36 575,5	35 127,4	37 148,8	2 021,5

სუბსიდიების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი (389,6 ათასი ლარი) ფაქტობრივს აღემატება 56,5 ათასი ლარით (333,1 ათასი ლარი), რაც მთლიანად მოდის იმპულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტზე (ორგანიზაციული კოდი 34 10 02) და წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელი სსიპ –ის შენახვის და მიკროპროექტების შედგენის ხარჯებს).

გრანტების მუხლით გაწეული ხარჯები (2,9 ათასი ლარი ფაქტობრივი და 2,6 ათასი ლარი გადახდა) მოდის სამინისტროს აპარატზე და დონორებისათვის უკან დაბრუნებული თანხაა.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯებიდან (ფაქტობრივი 4 457,5 ათასი ლარი, გადახდა 4 446,2 ათასი ლარი) დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებების (დეკრეტული, ბიულეტენი და სხვა) ხარჯი 22,2 ათასი ლარია, ხოლო 4 435,3 ათასი ლარი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ლტოლვილთა ოჯახებზე ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული სივრცის მიხედვით გაცემული სოციალური დახმარების ხარჯია, სადაც 11,3 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია სასაქონლო ფორმით.

სხვა ხარჯების მუხლით გაწეული საკასო ხარჯებში (გადახდა 13 128,2 ათასი ლარი, ფაქტობრივი 14 869,5 ათასი ლარი) სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე მოდის 467,9 ათასი ლარი, ხოლო 12 660,4 ათასი ლარი კი კაპიტალურ ხარჯებზე.

ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორია სხვაობა (1 741,3 ათასი ლარი) გამოწვეულია წინა წლის დებიტორული დავალიანებების დაფარვით.

სამინისტროს მიერ სხვა ხარჯების მუხლიდან დევნილთა განსახლების ადგილებში ხორციელდება იმ შენობა-ნაგებობების აღდგენითი, გამაგრებითი და სხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და აღრიცხულია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ბალანსზე. ზოგიერთი სამუშაო განეკუთვნება კაპიტალურ სამუშაოებს, რომლებიც ექვემდებარება ასახვას არაფინანსური აქტივების მუხლით და შესაბამისად მათი ღირებულებით უნდა გაიზარდოს წმინდა ღირებულება, თუმცა იმის გამო, რომ დაფინანსება ხორციელდება სხვა ხარჯების მუხლიდან, თანხების ჩამოწერა ხდება ხარჯებში.

აღნიშნულის გამო წინა პერიოდის აუდიტის დროს იქნა გამოთქმული შენიშვნა და გამოთქვა მოსაზრება, რომ „ასეთი სამუშაოების არსებობის შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრომ დაფინანსება განახორციელოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სამინისტრომ მათი გადაცემა ბალანსიდან ბალანსზე განახორციელოს იმ უწყებაზე, რომლის ბალანსზეც იმყოფება ეს ძირითადი საშუალებები“.

სამინისტროს მხრიდან ამ მიმართებით საკითხის მოსაგვარებლად შემუშავდა ღონისძიება, რაც გამოიხატება იმაში, რომ აუდიტის შემდეგ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, ისე რომ არაა გამოქვეყნებული კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები, შემდგომი რეაგირებისათვის მიეწოდება ეკონომიკის სამინისტროს და იმ მუნიციპალიტეტების გამგეობებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხებოდა ობიექტები, თუმცა ეკონომიკის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ განხორციელდა, თუ არა ქონების საბალანსო ღირებულებების გაზრდა, სამინისტროსათვის უცნობია. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ინფორმაციები 2011 წლის სამუშაოებზე ეკონომიკის სამინისტროზე გაგზავნილია 2 127,9 ათასი ლარის მოცულობაზე და 2012 წლის სამუშაოებზე მუნიციპალიტეტებზე 415,2 ათასი ლარის სამუშაოებზე.

წინა პერიოდის აუდიტის დროს ანალოგიური შენიშვნა გამოითქვა გრანტების დაფინანსებით შექმნილი და შეძენილი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საკითხის მიმართაც, რადგან თანხები ჩამოიწერება სარჯებში (გადახდა ხდება სხვა სარჯების მუხლიდან), ხოლო ვის ბალანსზე უნდა აისახოს ეს ქონება, არ იყო გადაწყვეტილი.

აღნიშნული საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

არაფინანსური აქტივების ზრდა:

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილი ასიგნების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2 331,8 ათას ლარს, ვალდებულება, მოთხოვნა და გადახდა კი 2 289,2 ათას ლარს, რაც დაზუსტებული გეგმაზე 28,7 ათასი ლარით ნაკლებია და 98,8 %-ს შეადგენს.

გადახდების ძირითადი ნაწილი მოდის სამინისტროს შენობის მშენებლობაზე გორში -1 049,8 ათასი ლარი (45,9 %), ლტოლვილთათვის საცხოვრებელი შენობების შექმნაზე -459,4 ათასი ლარი (20,1 %), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე -299,8 ათასი ლარი (13,1 %) და სხვა მანქანა დანადგარებსა და ინვენტარზე -404,7 ათასი ლარი (17,7 %).

2.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

სანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთჯერ იქნა გამოყოფილი თანხა 58,8 ათასი ლარის ოდენობით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან GTZ -სათვის (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა) დღგ-ს გადასახადის უკან დაბრუნების მიზნით. გამოყოფილი თანხა გახარჯულია მიზნობრივად.

2.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

გრანტის დასახელება	დონორი	მიზნობრიობა	ნაშთი წლის დასაწყ.	გამოყოფილი თანხა	სავსო ხარჯი	სხვაობა	დაბრუნება თანხა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
ლტოლვილები და იადვშენადარის მასოქნდები	გაეროს ლტოლუნად ღესი კომისიარიატი	სამართლებრივი დაცვა გადაწყვეტი ღებები	1561	198300	198786	1561	1075	1561 ღარიდან 2012 წელს აოვისებულა 485 ღარი თანახმად ხელშეკრულე ბ.

სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება, სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გაზიარება.	გეროს ლტოლულთა კომისარიატი	სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება, სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გაზიარება.	146,9	8994	8380	614	146,9	ტრენინგის ხარჯი
			1382,9	244490	242125,34	2364,66	1382,9	პროექტის განმახორციელებელთა ხარჯები
ხომის რეგიონში დევნილთა ოჯახების ინტეგრაციის ღონისძიებები	სლოვაკეთის რეგიონალური განვითარების სააგენტო	ხომის რეგიონში დევნილთა ოჯახების ინტეგრაციის ღონისძიებები	0	9574,8	9574,8	0	0	პროექტის კოორდინატორთა ხელფასები
ზუგდიდის კატასტროფ. დაზარალებული სოფლის მოსახლეობის განსახლება	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშ. სააგენტო	ზუგდიდის კატასტროფებით დაზარალებული სოფლის განახლა.	90750	143704	231400	3054,0	0	ნაშთი დონორთან შეთანხმებით გაიზარტება 2013 წელს
იძულებით გადაადგილებულ პირთა თანხის გასაღებად პროექტი	მსოფლიო ბანკი (WB)	თემის საცხოვრებელ პირობების გაუმჯობესება, სოციალური ადამრტაციის, ინფრასტრ. განვითარება, სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება	1353517	1086483	2401383,3	38617,7	7	პროექტი დასრულდა
ჯამი			1447357,8	1691545,8	3091649,4	46211,4		

საანგარიშო პერიოდში სამინისტროსათვის გამოყოფილი გრანტების მთლიანი მოცულობა ნაშთის ჩათვლით შეადგენდა 3 138,9 ათას ლარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 3 091,4 ათასი ლარი, ანუ 46,2 ათასი ლარით ნაკლები (98,5 %). აუთენტიკური თანხის ძირითადი ნაწილი მოდის იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში გამოყოფილი თანხაზე, რომელიც შეადგენდა 2 440,0 ათას ლარს. პროექტის განმახორციელებელია სსიპ "თემის განვითარების ცენტრი".

ფაქტობრივად ათვისებულია 2 401,4 ათასი ლარი, ანუ 38,6 ათასი ლარით ნაკლები (98,4 %).

პროექტის ფარგლებში 43 თემში განხორციელდა 46 მიკროპროექტი, აქედან 2012 წელში 32 თემში 35 მიკროპროექტი. 2 თემში ვერ მოხერხდა დაგეგმილი მიკროპროექტების განხორციელება ტექნიკური სიძნელეებისა და თანხების სიმცირის გამო.

პროექტმა მუშაობა დაამთავრა, ხოლო ბალანსზე რიცხული აქტივები გადაცემულია სამინისტროზე.

სამინისტროს სასაქონლო გრანტის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებული აქვს სულ 84,8 ათასი ლარის ღირებულების ფასეულობები. მათ შორის 78,4 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები და 6,4 ათასი ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარი.

სამინისტროს საანგარიშო პერიოდში ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია.

2.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება იწარმოება კომპიუტერული პროგრამის („ორის-მენეჯერი“) მეშვეობით.

ფინანსთა სამინისტროში წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსები) სამინისტროს წარდგენილი აქვს ვადის დარღვევით (ვადაგადაცილება ორ კვირაზე მეტი).

ანგარიშგები წარდგენილია საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

3. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

NN	პერიოდი აქტივების დასაწყისი დასასრული	ათასი ლარი						
		მიღება პერიოდის ნაშთი დასაწყისში	გასვლა	საბ. დანის ეროვნულიდან	გრანტით	სხვა შემოსულებით	სხვა ეკონომიკურ წყაროებით	სხვა მოდერნიზაცია
1	შენიშნა- ნაგებობები	24630.4	462.9	518				4108.5
2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	1200.1	761.1	12.7	78.4	119.6	3.5	
3	სხვა მირითადი აქტივები	88.3	50					

4	დაუმთავრებელი მირითადი აქტივი	1923.9	2184.6					
სულ მირითადი აქტივები		27842.7	3458.6	550.7	78.4	119.6	3.5	4108.5
5	მატერიალური მარაგები	87.2	629.9					
6	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	57.4		3.3				
7	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	59.7	218.3	35.3	6.4			

NN	მირითადი აქტივების დეტალური აღწერა	გასვლა						
		გაყიდვით	იმავლე დონის სახ. ერთეულზე	გრანტით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	სხვა გასვლები	მირითადი ვალდებულების მონაცემები	წლის შიდა მოდისათვის
1	შენიშნა-ნაგებობები			4112.1			193.1	25414.6
2	მანქანა დანადგარები და იმვენტარი	56.6	128.3		142.1	4	322.1	1522.2
3	სხვა მირითადი აქტივები						16.7	121.6
4	დაუმთავრებელი მირითადი აქტივი					4108.5		
სულ მირითადი აქტივები		56.6	128.3	4112.1	142.1	4112.5	531.9	27058.4
5	მატერიალური მარაგები				617.6	17.8		81.7
6	არაწარმოებული აქტივები (მიწა)			57.4				33
7	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		28.6	0.3	27.2	7.3		256.3

ხაზინის მონაცემების მიხედვით არაფინანსური აქტივების მუხლით გასდახდა განხორციელებულია 2 289,2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშის (ბალანსის დანართი -ფორმა №5) მიხედვითა შესყიდვა განხორციელებულია 3 458,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გადახდას აღემატება 1 169,4 ათასი ლარით.

აღნიშნული გამოწვეულია წინა წლის დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციით, სადაც მირითადი თანხა 1 112,8 ათასი ლარი მოდის შპს „ტრანსმენზე“ (გორში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა). მშენებლობა,

ღირებულებით 4 108,5 ათასი ლარი, დამთავრდა 2012 წელს და ნაცვლად გათვალისწინებული სამინისტროს განთავსებისა, გრანტის სახით გადაეცა გორის მუნიციპალიტეტს და იქ დღეისათვის განთავსებულია ქურთას, თიღვის და ერედვის თემის წარმომადგენლობები.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ერიცხებოდა 17 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, სიდანაც 10 ერთეული მაღალი გამავლობისაა. სამინისტროს გაეროს წარმომადგენლობამ გადასცა მაღალი გამავლობის 9 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება საერთო ღირებულებით 77,4 ათასი ლარი (გარდა ამისა გრანტით გადმოცემულ მანქანებზე გაწეულია ტრანსპორტის განბაჟების საკასო ხარჯი თანხა 25,3 ათასი ლარის ოდენობით).

ამის შემდეგ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება შეესყიდა 10 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის 6 ერთეული მაღალი გამავლობის.

ავტომანქანების შესყიდვა მოხდა შემდეგი სქემით: 10 ავტომანქანა, რომელთა საერთო ნარჩენი საბალანსო ღირებულება 146,7 ათასი ლარი იყო, სამინისტრომ შეაფასებინა დამოუკიდებელ აუდიტსა და ექსპერტებს და მათი შეფასების საფუძველზე ნარჩენი ღირებულება შეცირდა 90,1 ათასი ლარით ანუ 6,4 % ით. (სულ გადაფასდა 12 ერთეული ავტომანქანა, ნარჩენი ღირებულებით 163,0 ათასი ლარი. ღირებულება გადაფასების შემდეგ -69,6 ათასი ლარი). დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მოხდა ახლად შეძენილი ავტომანქანების შეფასებაც, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 331,1 ათასი ლარი. ფასთაშორის სხვაობაზე გაიწია საკაო ხარჯი 274,5 ათასი ლარის ოდენობით.

დებიტორული დავალიანებები:

სამინისტროს ბალანსზე 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 3 661,0 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რაც საანგარიშო პერიოდში შემცირებულია 1485,3 ათასი ლარით და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2 175,7 ათას ლარს, სიდანაც 95,8 ათასი ლარი წარმოშობილია 2005-2007 წლებში, 1 233,0 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2011 წელს და 846,8 ათასი ლარის კი - 2012 წელს.

2012 წელს არაა ჩატარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია და შესაბამისად არაა შედგენილი შედარების აქტები.

კრედიტორული დავალიანებები:

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 4 662,8 ათასი ლარის, ხოლო 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი 5 507,1 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. დავალიანება გაზრდილია 844,3 ათასი ლარით.

2012 წელს წარმოშობილი დავალიანება სულ შეადგენს 872,3 ათას ლარს, რაც ძირითადად იმ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დავალიანებებია, რომლებზეც

არა შედგენილი ექსპერტიზის დასკვნები. დავალიანებების თანხა აღიარებულია და ინფორმაცია წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში.

კრედიტორულ დავალიანებაში აღირიცხება 4 224,6 ათასი ლარის დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 1996 - 2005 წლებში, მაგრამ კონკრეტულად რომელ წელს, არ იშიფრება. აქედან 3 921,7 ათასი ლარის დავალიანება არ იშიფრება არც ორგანიზაციების მიხედვით. წლების და ორგანიზაციების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანება მთლიანი დავალიანების 76,7 %-ია.

2012 წელს წარმოშობილ და მთლიანად გაზრდილ დავალიანებებს შორის სხვაობა 28,0 ათასი ლარია, რაც წარმოადგენდა სსიპ „თემის განვითარების პროექტის“ 2011 წელს წარმოშობილ დავალიანებას და 2012 წელს, ნაცვლად ვალდებულების კლების მუხლისა, დაიფარა სხვა ხარჯების ჩიმდინარე ხარჯების მუხლიდან.

4. სახელმწიფო შესყიდვებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯვის მდგომარეობა

2012 წელს სულ განსორციელებულია 21 869,7 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვა. აქედან გამარტივებულს წესით 514 ხელსეკრულებით 11 508,9 ათას ლარზე, ხოლო ელექტრონული ვაჭრობით კი 63 ხელსეკრულებით 10 360,8 ათას ლარზე.

წლის განმავლობაში ეკონომიამ სულ შეადგინა 1 344,6 ათასი ლარი ათასი ლარი, რომლის ხარჯვაზე არსებობს საქართველოს პრემიერმინისტრის და ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

თანხები გამოყენებულია დავნილთა შენახვის ხარჯებისათვის.

რეკომენდაციები

სამინისტრომ:

- ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა მოსალოდნელი ხარჯის გაწევის აუცილებლობის საკითხი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხშირი და მოცულობითი ცვლილებების. ეს განსაკუთრებით შეეხება დევნილთა შენახვის ხარჯებს;
- სხვა ხარჯების მუხლით გაწეული კაპიტალური ხარჯებიდან არაფინანსური აქტივებში ასახვას დაქვემდებარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და სათანადო მასალები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გარდა, გადაეგზავნოს უშუალოდ ყველა იმ უწყებას, ვის ბალანსზეც ირიცხება ობიექტი.
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს ვალდებულებებისა და მოთხოვნების ინვენტარიზაცია, დებიტორებთან და კრედიტორებთან შეადგინოს შედარების აქტები, გაატაროს საჭირო ღონისძიებები დავალიანებების სალიკვიდაციოდ (განსაკუთრებით ეხება ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებებს)

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.